ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.16.014.407) დაპროექტებული ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

თ ბ ი ლ ი ს ი

2 0 2 1

საფუძველი: „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“: საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილება.

ობიექტის მისამართი: ქ. თბილისში, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ

საკადასტრო კოდი: 01.14.16.014.407

ობიექტის ფუნქცური დანიშნულება: ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლი

პროექტის ავტორი: ნიკოლოზ სულხანიშვილი

შენობა-ნაგებობათა უსაფრთხოების ექსპერტი: სპარტაკ მელიქიშვილი

საექსპერტო დასკვნა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების **მიხედვით მოიცავს შემდეგ ნაწილებს:**

1) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;

2) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;

3) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;

4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;

5) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;

6) მისაწვდომობის შეფასებას;

7) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;

8) სახურავის ანაწყობების შეფასებას;

9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;

10) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;

11) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

12) შიგა გარემოსადმი მოთხოვნების შეფასებას.

საექსპერტო დასკვნის შესადგენად ექსპერტიზისათვის გადმოცემულია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი, რომელიც მოიცავს შემდეგ მასალებს:

1. ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის ობიექტის თაობაზე (აღნიშნული მოიცავს: თავფურცელს; ფურცლების ჩამონათვალს; პირობით აღნიშვნებს; დაგეგმარების მიზნის აღწერას; შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზს)
2. შენობა-ნეგებობის ტექნიკურ მაჩვენებლებს
3. სიტუაციურ სქემას
4. არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალას
5. მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმას –1:500 მ
6. მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილი მიწის ნაკვეთის გეგმას (გენგეგმა)
7. შენობა-ნაგებობების განთავსებასა და სიმაღლეებს
8. გეგმებს, ჭრილებს, ფასადებს
9. დეტალების ფრაგმენტულ ნახაზებს
10. დაკავებულობისა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გეგმებს (აღნიშნული მოიცავს: დაკავებულობის დატვირთვებს; გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობებს; გასასვლელებს; გასასვლელთან მისადგომებს; გასავლელებსა და შენობიდან გამოსასვლელებს; გასასვლელამდე სავალ მაქსიმალურ მანძილებს; ცეცხლმედეგობის ხარისხიან მოთხოვნილ გამმიჯნავებს).
11. შენობის ვიზუალიზაციას

შენიშვნა: *<u>მოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.</u>*

<u>გადმოცემული მასალა აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის</u> 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების <u>მიხედვით არქიტექტურული პროექტის შემადგენლობას და სრულად იძლევა საშუალებას ზემოაღნიშნული ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობას.</u>

შ ი ნ ა ა რ ს ი:

საპროექტო ობიექტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ორბინიან საცხოვრებელ სახლს, რომელიც განთავსებულია რთულ რელიეფზე. მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 612 კვ.მ-ს. ნაკვეთს საზოგადოებრივი საზღვარი გააჩნია სამი მხრიდან: ჩრდილო-დასავლეთის, ჩრდილო-აღმოსავლეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან. ვინაიდან მიწის ნაკვეთი ხასიათდება ქანობიანი რელიეფით, -6.80 დან +3.30 ნიშნულების ჩათვლით გათვალისწინებულია საცხოვრებელი ბინისათვის კმარი სათავსები; ±0.00 ნიშნულიდან ვხვდებით შენობის გარეთ და პირდაპირ ვუკავშირდებით საზოგადოებრივ სივრცეს. ორივე ბინას გააჩნია დამოუკიდებელი შესასვლელი. ორივე საცხოვრებელი ერთეული ერთმანეთისგან გამიჯნულია ცეცხლმედეგი შემომზღუდავებით, რომელთა ცეცხლმედეგობა უტოლდება 2 საათს. კონსტრუქციული სქემა გაძლიერებული ბეტონის კარკასია, გაძლიერებული ბეტონის გადახურვებით, შემავსებლად გამოყენებულია სამშენებლო ბლოკი. ფასადები დამუშავდება დეკორატიული ლესვითა და ღებვით. ფასადებზე ნაწილობრივ გათვალისწინებულია ლითონის ფაქტურის კომპოზიტური პანელები და ნაწილობრის ხის დეკორატიული პანელები; ფანჯრები და ვიტრაჟები შესრულდება შავი ფერის ალუმინის პროფილით.

გ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ა:

1. **დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება:**

- საპროექტო ობიექტი, „წესების“ დაკავებულობის კლასიფიცირების მესამე თავის მიხედვით, მოიცავს ერთი დაკავებულობის ჯგუფს:

<u>საცხოვრებელი ჯგუფი სც-3</u>

-6.80; -3.30 და <u>±</u>0.00; +3.30 ნიშნულებზე განთავსებული ორბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი ერთეული (შენობები, რომლებიც არ შეიცავს ორზე მეტ საცხოვრებელ ერთეულს).

<u>აღნიშნული შეესაბამება 310.5 ქვეთავს.</u>

- დაკავებულობის დატვირთვა გამოანგარიშებულია 1004.1.2 ცხრილის მიხედვით. დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი საცხოვრებელი სივრცისთვის შეადგენს 18.6-ს (მთლიანი).

დაკავებულობების დატვირთვების გამოანგარიშება განხორციელებულია №41 დადგენილების - თავი 2 და თავი 10, ქვეთავები 202 და 1004 და ცხრილი 1004.1.2-ის მიხედვით.

<u>დაკავებულობის ჯგუფების შერჩევა და ასევე მათი დატვირთვების გამოანგარიშება განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.</u>

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

- შენობის კონსტრუქციული ტიპი განსაზღვრულია სწორად (**II-B** ტიპი), რომელიც შერჩეულ იქნა შენობის დაკავებულობის, სართულიანობის, სიმაღლისა და ფართობის მიხედვით და სრულიად აკმაყოფილებს 503 ცხრილის მოთხოვნებს. (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის კონსტრუქციული ტიპების მიხედვით იხ. 601 ცხრილში).
- საპროექტო ობიექტის ძირითად კონსტრუქციულ გადაწყვეტას (კარკასი და გადახურვის ფილები) რკინა-ბეტონი წარმოადგენს.

შენიშვნა:

- *II ტიპის კონსტრუქციებში 601-ე ცხრილში ჩამოთვლილი შენობის ელემენტები არაწვადი მასალების უნდა იყოს. თუმცა დასაშვებია სახურავის კონსტრუქციაში, მათ შორის კოჭებში, წამწეებში, ჩარჩოებსა და ფენილებში წვადი მასალის გამოყენება, თუ ხე იქნება დამუშავებული ცეცხლმედეგობაზე, თანახმად 603.1 პუნქტისა.*
- *შენობის ელემენტების, კომპონენტების ან ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი შესაბამისი ტესტის პროცედურების ან წესების მიხედვით უნდა განისაზღვროს. თუ მასალები, სისტემები ან მექანიზმები, რომლებიც არ შემოწმებულა როგორც ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე ანაწყობის ნაწილი და ჩართულია შენობის ელემენტში, კომპონენტში ან ანაწყობში, მაშინ მშენებლობის ნებართვის გამცემი/ზედამხედველი ორგანოსთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს საკმარისი მონაცემები, რომლებიც ცეცხლმედეგობის მოთხოვნილ ხარისხს ადასტურებს. ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე შენობის ელემენტებში, კომპონენტებში ან ანაწყობებში გადაბმებისა და გაყვანილობების დასაცავად გამოყენებული მასალები და მშენებლობის მეთოდები არ უნდა ამცირებდეს ცეცხლმედეგობის მოთხოვნილ ხარისხს.*

კონსტრუქციული ტიპი დადგენილია №41 დადგენილების - თავი 6, ქვეთავი 601, და თავი 5, ქვეთავი 503 და ცხრილი 503-ის მიხედვით.

კონსტრუქციული ტიპის შერჩევა განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

- 503 ცხრილის მიხედვით, საპროექტო შენობაში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციული ტიპის II-B მიხედვით დადგენილია შენობის დასაშვები სართულიანობა, სიმაღლე და ფართობი. ზემოაღნიშნული ცხრილით თითოეული სართულის ფართობი შეუზღუდავია. პროექტის მიხედვით მიწის დონის ზემოთ შენობას გააჩნია 3 სართული და მიწის დონის ქვევით 1 სართული. პროექტის მიხედვით შენობის სიმაღლე მიწის დონიდან განსაზღვრულია სწორად და არის 11.96 მეტრი.
- სწორად არის განსაზღვრული მიწის დონე (მიწის საკონტროლო სიბრტყე).
- მიწის დონის ქვემოთ არის: -6.80 ნიშნულებზე განთავსებული სართული.
- მიწის დონის ზემოთ არის: -3.30; ±0.00; +3.30 ნიშნულებზე განთავსებული სართულები.

სართულიანობა დადგენილია №41 დადგენილების - თავი 2, ქვეთავი 202-ის მიხედვით.
გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 5, ქვეთავი 503, ცხრილი 503.

წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს.

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

- საცხოვრებელ (სც-3 ჯგუფი) სართულებს 1021.2 ქვეთავის მე-2 გამონაკლისის თანახმად დასაშვებია, რომ თითოეულ საცხოვრებელ ერთეულს ემსახურებოდეს ერთი გასასვლელი, რაც პროექტით გათვალისწინებულია. კერძოდ, ორივე საცხოვრებელ ერთეულს გააჩნია დამოუკიდებელი გარეთ გასასვლელი გზა-კარის სახით. საცხოვრებელ სართულებს ერთმანეთთან

აკავშირებს გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბე, რომელიც ორივე საცხოვრებელ ერთეულს დამოუკიდებელი აქვს.

- გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილები დაანგარიშებულია სწორად, გასასვლელისგან ყველაზე დაშორებული ფართობების გათვალისწინებით და აკმაყოფილებს „წესების“ 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს.
- შენობიდან, თითოეული საცხოვრებელი ბინიდან გამოსვლა და შემდგომ საზოგადოებრივ სივრცეში მოხვედრა ხდება დაუბრკოლებლად, რაც აკმაყოფილებს 1027.1 და 1027.5 ქვეთავების მოთხოვნებს.

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 10, ქვეთავები 1009, 1016 და 1021; ცხრილი 1016.2

გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების ნორმები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება:

- თითოეულ საცხოვრებელ ერთეულს ემსახურება გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბე. გზა-კიბის სუფთა სავალი სიგანე კედელსა და მოაჯირს შორის არის 0.90 მ-ზე მეტი, რაც აკმაყოფილებს 1005.3.1 და 1009.4 ქვეთავების მოთხოვნებს. ვინაიდან თითოეული გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბე ემსახურება ცალკეულ საცხოვრებელ ერთეულს, 1009.15 ქვეთავის №2 გამონაკლისის მიხედვით ორივე მხრიდან სახელურის მოწყობის აუცილებლობა არ არის. პროექტით სახელური გათვალისწინებულია კიბის ცალ მხარეს.
- საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე აკმაყოფილებს 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს.
- გზა-კიბეების ბაქნების ზომები შეესაბამება 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.
- ყველა გზა-კარის, რაც გასასვლელი საშუალების კომპონენტია, სიგანე 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს 82 სმ-ზე მეტ თავისუფალ სიგანეს, რაც შეესაბამება „წესების“ 1005.3.2 და 1008.1.1 ქვეთავების მოთხოვნებს.

- რაც შეეხება დანარჩენ კარის ღიობებს, რომლებიც აუცილებელი გასასვლელი საშუალების ნაწილი არ არის, 1008.1.1 ქვეთავის №1 გამონაკლისის თანახმად **სც-3** ჯგუფის დაკავებულობებში ასეთ კარის ღიობებს არ მოეთხოვება 1008.1.1 ქვეთავში განსაზღვრული მინიმალური და მაქსიმალური სიგანეების გათვალისწინება. შესაბამისად ყველა კარის ზომა და რაოდენობა, პროექტში დეტალურად არის წარმოდგენილი და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 10, ქვეთავები 1005, 1008, 1009, 1012 და 1013;

გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

6. მისაწვდომობის შეფასება:

- პროექტით არ არის გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის მისაწვდომი საშუალებების დაგეგმარება და მშენებლობა. 1103.2.4 ქვეთავის მიხედვით - ერთი ან ორი ოჯახის ცალკე მდგომი საცხოვრებლები და მათი დამხმარე ნაგებობები, ასევე მათთან დაკავშირებული ადგილები და საშუალებები, არ საჭიროებს მისაწვდომობას.

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 11, ქვეთავი 1103;

მისაწვდომობის აუცილებლობა განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

- 602 ცხრილის თანახმად, კონსტრუქციის ტიპის (II-B) გათვალისწინებით, შენობის იმ გარე კედლებს, რომელთა ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი 3.0 მ-ზე ნაკლებია („1-1“ ღერძის გასწვრივ), უნდა გააჩნდეს 1 საათიანი ცეცხლმედეგობა, ხოლო 3.0 მეტრზე მეტი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის შემთხვევაში, გარე კედლებს არ

მოეთხოვება ხანძარმედეგობის ხარისხი და ამ კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი, 705.8.1 ქვეთავის №2 გამონაკლისის შესაბამისად შეუზღუდავია.

- როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველა გარე კედლის მასალად გამოყენებულია ბლოკის წყობა, რომელსაც გააჩნია მოთხოვნილზე გაცილებით მეტი ცეცხლმედეგობის ხარისხი.
- შენობას გააჩნია პარაპეტი, რაც აკმაყოფილებს 705.11 ქვეთავის მოთხოვნებს.
- პროექტს თან ახლავს საფასადე კედლის ფრაგმენტული ნახაზი. ზემოაღნიშნული ნახაზიდან ირკვევა, რომ კედლის მასალად გამოყენებულია სამშენებლო ბლოკის წყობა დეკორატიული ლესვითა და ღებვით. წესების 1403.2-ე პუნქტის გამონაკლისის მიხედვით, ატმოსფერული ზემოქმედებისგან დაცვის მიზნით მოწყობილი დამცავი საფარი არ მოეთხოვება ბეტონით ან წყობით აგებულ კედლებს.
- წარმოდგენილ ნახაზზე ასევე ასახულია გარე ფანჯრის და კედლის ანაწყობების გადაკვეთასთან გათვალისწინებული ჰიდროიზოლაცია, რომელიც მოწყობილია კედლის სტრუქტურაში ტენის შეღწევის საწინააღმდეგოდ. აღნიშნული აკმაყოფილებს 1405.4-ე ქვეთავის მოთხოვნას, თუმცა მსგავსი გადაწყვეტა გამოყენებული უნდა იყოს ქვემოთმოყვანილ (იხ. შენიშვნა) ყველა ადგილას.

შენიშვნა: *გარე კარისა და ფანჯრის ანაწყობების, გაყვანილობების და გარე კედლის ანაწყობების (მათ შორის პარაპეტის) დასრულების ადგილების პერიმეტრებთან, გარე კედლისა და სახურავის გადაკვეთასთან, საკვამურებთან, პორტიკებთან (კართანებთან), ტერასებთან (ბანებთან), აივნებთან და მსგავს ნაშვერებთან შეერთების ადგილებში, ასევე, ჩაშენებულ წყალსადინარ ღარებში და მსგავს ადგილებში, საიდანაც წყალმა შეიძლება კედელში შეაღწიოს. ჰიდროიზოლაცია უნდა მოეწყოს გამოშვერილი კიდეების ორივე მხარეზე და ბოლოებთან კედლისზედა ბურულების, წოლანების ქვეშ და უწყვეტი გამოშვერილი გაფორმების თავზე.*

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 6, ქვეთავი 602, ცხრილი 602.
თავი 7, ქვეთავი 705, ცხრილი 705.8; ქვეთავი 705.11

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, ასევე გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი 602 და 705.8 ცხრილების მიხედვით, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების შესაბამისად არის გამოთვლილი და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

8. სახურავის ანაწყობების შეფასება:

- საპროექტო შენობის სახურავი არის რკინაბეტონის კოსტრუქციის, მრავალშრიანი ბრტყელი გადახურვა მცირე ქანობით. გააჩნია წყალარინი ღარები და მილები.
- სახურავის, როგორც კონსტრუქციას ასევე მის არაძირითად ნაწილებს შენობის კონსტრუქციის ტიპის **(II-B)** გათვალისწინებით ცეცხლმედეგობის ხარისხი 601 ცხრილის მიხედვით არ მოეთხოვება, თუმცა გადახურვა წარმოადგენს გაძლიერებული ბეტონის სტრუქტურულ ნაწილს, რომლის ხანძარმედეგობა 2 საათზე მეტია.
- გადახურვის ფენილი შედგება რკინა-ბეტონის მონოლითური გადახურვის ფილაზე მოწყობილი ორთქლიზოლაციისაგან, მსუბუქი შემავსებლის (პემზისგან, რომლითაც მოწყობილია დახრები), ქვიშაცემენტის ხსნარით მოწყობილი მოჭიმვის, ორი ფენა ჰიდროიზოლაციის და მასზე მოწყობილი კენჭნარისაგან, რომელზეც მოწყობილია ქვიშაცემენტის ხსნარით მოჭიმვა, ჰიდროიზოლაცია და დამცავი ფენა, რაც 1507.10 ქვეთავის მიხედვით აკმაყოფილებს მრავალშრიან სახურავებთან დაკავშირებულ მოთხოვნას.
- სახურავზე მოხვედრა შესაძლებელია გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბის მეშვეობით, რაც აკმაყოფილებს 1009.16 ქვეთავის მოთხოვნას.
- სახურავზე პროექტით გათვალისწინებულია დეკორატიული გამწვანებისა და პერგოლების მოწყობა.
- ***<u>შენიშვნა:</u>*** *სახურავის ბურული ხანძრის კლასიფიკაცია კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით უნდა განეკუთვნოს C კლასს, თანახმად ცხრილი 1505.1ა (C კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს სუსტი ცეცხლის ზემოქმედებას).*
- *ჰიდროიზოლაცია უნდა მოთავსდეს კედლისა და სახურავის გადაკვეთის ადგილებში, წყალსადინარ არხებთან, სახურავის ქანობის ან მიმართულების შეცვლის ადგილებში/ლითონის ჰიდროიზოლაცია უნდა იყოს კოროზიამედეგი და, არანაკლებ, 0,5 მმ სისქისა.*

- *შენობების გარეთ მოთავსებული წყალარინი ღარები და მილები არაწვადი მასალით ან, სულ მცირე, 40 ზომის პლასტმასის მილებით უნდა აიგოს.*

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 6, ქვეთავი 601, ცხრილი 601;

<u>სახურავის ანაწყობები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:

- საცხოვრებელი ერთეულები ერთმანეთისგან გამიჯნულია სამშენებლო ბლოკის კედლებით, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი მინიმუმ 2 საათია, რაც აკმაყოფილებს 420.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- შენობის საცხოვრებელი სართულების იატაკების კონსტრუქციას უნდა გააჩნდეს 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, თუმცა პროექტით სართულშუა გადახურვები წარმოადგენს გაძლიერებული ბეტონის სტრუქტურულ ნაწილებს, რომლის ხანძარმედეგობა 2 საათზე მეტია. აღნიშნული აკმაყოფილებს 711.3 ქვეთავის მოთხოვნებს.
- 1018.1 ქვეთავის №2 გამონაკლისის თანახმად: ცეცხლმედეგობის ხარისხი არ მოეთხოვება დერეფნებს, რომლებიც მდებარეობს სც ჯგუფის დაკავებულობის საცხოვრებელ ან საძინებელ ერთეულში.

- *<u>ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.</u>*

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება:

- „წესების“ მე-9 თავის მიხედვით სც-3 ჯგუფის დაკავებულობისთვის საპროექტო შენობაში ხანძრისაგან დაცვის სისტემების მოწყობის აუცილებლობა არ არის. გამონაკლისს წარმოადგენს სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემა კვამლზე მორეაგირე მაუწყებლის მოწყობილობების სახით, რომელიც განთავსებულია საცხოვრებელი ერთეულის ყველა საძინებელ ფართობში 907.2.11.2 ქვეთავის შესაბამისად.

- **შენიშვნა:** სისტემა მოეწყოს 907 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით.

  გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 9, ქვეთავი 907;

  ხანძრისგან დაცვის სისტემების მოწყობის აუცილებლობა განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

- შენობაში წყალსადენის სისტემის აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობები გათვალისწინებულია და მათი რაოდენობა გაცილებით მეტია 1602.1 ცხრილში მოთხოვნილი რაოდენობისა.

  გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 16, ქვეთავი 1602, ცხრილი 1602.1;

  წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

12. შიგა გარემოსადმი მოთხოვნების შეფასება:

- ყველა გამოყენებული სივრცე ნიავდება ბუნებრივად, რაც აკმაყოფილებს 1203.4-ე ქვეთავის მოთხოვნას.
- ყველა გარე გასაღები ღიობის მინიმალური ფართობი გაღებულ მდგომარეობაში არ არის გასანიავებელი იატაკის ფართობის 4%-ზე ნაკლები, რაც აკმაყოფილებს 1203.4.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- ყველა სააბაზანო ოთახი ნიავდება მექანიკური განიავებით, რაც აკმაყოფილებს 1203.4.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- წარმოდგენილი პროექტის გეგმების მიხედვით, საცხოვრებელი სივრცეების არცერთი ზომა არ არის 2.2 მ-ზე ნაკლები, რაც შესაბამისობაშია 1208.1 ქვეთავის მოთხოვნასთან.
- წარმოდგენილი ჭრილების მიხედვით, საცხოვრებელი სივრცეებისა და დერეფნების ჭერის სიმაღლე არ არის 2.3 მ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1208.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- სამზარეულოს სივრცეში დატოვებული მინიმალური გასავლელი სიგანე შეესაბამება 1208.4-ე ქვეთავის მოთხოვნას.

შიგა გარემოსადმი დაკავშირებული მოთხოვნები სწორად არის განსაზღვრული „წესების“ მიხედვით.

დ ა ს კ ვ ნ ა:

ქ. თბილისში, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ **01.14.16.014.407**) დაპროექტებული ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან. საექპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

ექსპერტი: ს. მელიქიშვილი

12.05.2021 წ.

გამოყენებული (კანონმდებლობა, რეგლამენტები, წესები, სტანდარტები.....)

„ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება.

სპარტაკი მელიქიშვილი



მობილური: 995595989555
ელ-ფოსტა: smelikishvili@yahoo.com
ოჯახური მდგომარეობა: დასაქორწინებელი
დაბადების თარიღი: 18 იანვარი, 1969

განათლება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, სექტემბერი / 1990 - ივლისი / 1996
არქიტექტორი, არქიტექტურა
უმაღლესი განათლება

სამუშაო გამოცდილება

სსიპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახური ***თებ / 2015 - ივნ / 2016 (16 თვე - 1,5 წელი)***

<u>მოვალეობები:</u> I-II კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების უფროსი

არქიტექტურული ჯგუფის ხელმძღვანელი, შ. პ. ს " არქსტუ-დია", ნოე / 2006 - ნოე / 2014 (96 თვე - 8 წელი)

<u>მოვალეობები:</u> პროექტირება, ზონირება, გეგმარება, კომპიუტერული გრაფიკა.

<u>მიზეზი:</u> პირადი განცხადების საფუძველზე

არქიტექტორი, შ. პ. ს " არქსტუდია", ნოე / 2004 - ნოე / 2006 (24 თვე - 2 წელი)

<u>მოვალეობები:</u> მშენებლობის მართვის სამსახური

<u>მიზეზი:</u> გადასვლა სხვა თანამდებობაზე

არქიტექტორი, შ. პ. ს " ბურჯი", ივლ / 2004 - ნოე / 2004 (4 თვე)

<u>მოვალეობები:</u> პროექტირება, ზონირება, გეგმარება, კომპიუტერული გრაფიკა.

<u>მიზეზი:</u> პირადი განცხადების საფუძველზე

უფროსი არქიტექტორი, შ. პ. ს " არქსტუდია", სექტ / 2002 - ივლ / 2004 (22 თვე - 1 წელი და 10 თვე)

<u>მოვალეობები:</u> პროექტირება, ზონირება, გეგმარება, კომპიუტერული გრაფიკა.

<u>მიზეზი:</u> პირადი განცხადების საფუძველზე

არქიტექტორი, შ. პ. ს"არქსტუდია", სექტ / 2000 - სექტ / 2002 (24 თვე - 2 წელი)

<u>მოვალეობები:</u> პროექტირება, ზონირება, გეგმარება, კომპიუტერული გრაფიკა.

<u>მიზეზი:</u> გადასვლა სხვა თანამდებობაზე

არქიტექტექტორი, **მ ს " თბილქალაქპროექტი"**, აგვ / 1999 - სექტ / 2000 (13 თვე - 1 წელი და 1 თვე)

მოვალეობები: პროექტირება

მიზეზი: პირადი განცხადების საფუძველზე

სრული სტაჟი: 199 თვე (16 წელი და 6 თვე)

ენები

ქართული (წერა:ძალიან კარგი, მეტყველება:ძალიან კარგი), ინგლისური (წერა:კარგი, მეტყველება:კარგი), რუსული (წერა:ძალიან კარგი, მეტყველება:ძალიან კარგი)

კომპიუტერული პროგრამები

AutoCAD (ძალიან კარგი), 3D MAX (ძალიან კარგი), Photoshop (ძალიან კარგი), ArchiCAD (ძალიან კარგი), Arc GIS (ძალიან კარგი), Windows 7 (ძალიან კარგი), Microsoft Office Excel (ძალიან კარგი), Microsoft Office Word (ძალიან კარგი)

პროექტები

- **PAPILON**, ოქტომბერი / 2013 - ნოემბერი / 2013
  სავაჭრო პავილიონი,
  ობიექტი მდებარეობს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ნაკვეთი#25/21

- **სასტუმრო სამტრედიის ქუჩაზე**, მაისი / 2013 - ივნისი / 2013
  სასტუმრო,
  ობიექტი მდებარეობს ქალაქ თბილისში, წერეთლის გამზირი #117.

- **საცხოვრებელი კომპლექსი**, თებერვალი / 2013 - მარტი / 2013
  საცხოვრებელი და კომერციული,
  პროექტი მდებარეობს ქალაქ თბილისში ნუცუბიძის IV მიკრო, ნაკვეთი 02/041.
  შენობა შვიდსართულიანია, პირველ სართულზე განთავსებულია კომერციული ფართები, ხოლო დანარჩენი სართულები არის საცხოვრებელი.

- **საცხოვრებელი ტიპის სასტუმრო**, ოქტომბერი / 2012 - ნოემბერი / 2012
  საცხოვრებელი ტიპის სასტუმრო,
  ობიექტი მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელი გლდანი, ავშნიანი, ნაკვეთი# 6/74
  ობიექტი გამოირჩევა მისი რელიეფით ნაწილი შენობის სამ სართულიანია, ნაწილი ერთი.

- **შეშელიძის 25ა**, ივლისი / 2012 - აგვისტო / 2012
  მრავალფუნქციური,
  პროექტი მდებარეობს ქალაქ თბილისში, შეშელიძის ქ #25ა შენობა ორსართულიანია და არის მრავალფნუქციური. პირველ სართულზე განლაგებულია ავტოსერვისის ბოქსები, ავტონაწილების მაღაზია, კაფე. მეორე სართულზე კი ოფისები.

- **ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი**, აპრილი / 2011 - ივნისი / 2011

  ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი,
  ობიექტი მდებარეობს ქალაქ თბილისში, ხეხილ-სანერგე მეურნეობა.

- **ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი**, აგვისტო / 2010 - ოქტომბერი / 2010
  ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი,
  ობიექტი მდებარეობს ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის პლატო, IV მიკრო,
  ნაკვეთი#003/055

- **PARK PLACE**, ნოემბერი / 2004 - მაისი / 2006
  საცხოვრებელი კომპლექსი,
  ობიექტი მდებარეობს ი.ჭავჭავაძის გამზირზე #80(ცუს ტბის ასასვლელთან)
  არქსტუდიამ განახორციელა მშენებლობის მენეჯმენტი, რომელ ჯგუფშიც ვიყავი მთავარი არქიტექტორი, აღნიშნული კომპლექსი ერთ-ერთი პირველი ობიექტია რომელიც ჩაბარდა დასრულებული ბინებით.

- **ჭავჭავაძის 23-23ა**, დეკემბერი / 2002 - მარტი / 2003
  საცხოვრებელი კომპლექსი,
  მივიღე მონაწილეობა პროექტირებაში შ.პ.ს"არქსტუდიის" ჯგუფთან ერთად

- **ბანკი რესპუბლიკა**, მარტი / 2002 - თებერვალი / 2003
  სათაო ოფისი,
  ობიექტი მდებარეობს ქ. თბილისში გრიგოლ აბაშიძის # 2 (ყოფლი ატენის ქუჩა)
  მივიღე მონაწილეობა პროექტირებაში შ.პ.ს არქსტუდიის ჯგუფთან ერთად

- **ო.ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი**, თებერვალი / 1999 - ოქტომბერი / 1999
  სამედიცინო ცენტრი,
  პროექტი შესრულდა მ.ს "ქალაქპროექტი"-ის ზურაბ ზურაბიშვილის სახელოსნოში

საკონტაქტო ინფორმაცია

მამის სახელი	არსენი
სქესი	მამრობითი
მოქალაქეობა	საქართველო
დაბადების ადგილი	თბილისი
სამხედრო ვალდებულება	სამხედრო მოსამსახურე
პირადი ნომერი	01006006674
სერია	18IB27392
ფაქტობრივი მისამართი	დიღმის მასივი/ მე-2 კვ/ მე-13კ/ ბ #62, თბილისი, საქართველო
რეგისტრაციის მისამართი	დიღმის მასივი/ მე-2 კვ/ მე-13კ/ ბ #62, თბილისი, საქართველო
ავტომანქანის მართვის მოწმობის ნომერი	AH # 0543331
სახლის ტელეფონი	2530269

ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

№ 2017-030

გადაეცემა

სპარტაკ მელიქიშვილს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო"

თეიმურაზ გოლოთაშვილი, დირექტორი

ღია საზოგადოების ფონდი

March 29-30, 2021

Accessible and Usable Buildings and Facilities - National Standards

Certificate awarded to

Spartak Melikishvili

Keti Khutsishvili
Executive Director

www.osgf.ge

4, Chovelidze street, Tbilisi 0108, Georgia, Tel: (+995 32) 225 04 63; E-mail contact@osgf.ge

დიპლომი

საქართველო

დიპლომი დ № 012022

მიეცა [illegible] არსენის ძე [illegible]შვილს

მასზე, რომ ის 1990 წელს შევიდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

და 1996 წელს დაამთავრა აღნიშნული უნივერსიტეტის

სრული კურსი

არქიტექტურის

სპეციალობით.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1996 წლის „17" ივლისის გადაწყვეტილებით

ხ. ა. [illegible]შვილს მიენიჭა არქიტექტორის

კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

რეგისტრაციის № 4719

ქალაქი თბილისი „31" X 1996 წ.